ქართული, როგორც მეორე ენა

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

გაითვალისწინეთ, რომ გამოცდა ხუთი ნაწილისაგან (მოსმენა, კითხვა, წერა, ლაპარაკი, პროფესიული ცოდნა) შედგება და წარმატების მისაღწევად საჭიროა ბარიერის გადალახვა ხუთივე ნაწილში.

ასევე აუცილებელია ბარიერის გადალახვა მთლიან ტესტშიც.

პასუხების ფურცელზე ამა თუ იმ დავალების გადატანის წესი თან ახლავს ყოველ დავალებას.

გამოცდის მაქსიმალური ქულაა 85, ხოლო ამ ტესტში მოცემული დავალებებისა – 74.

ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 4 საათი და 30 წუთი.

გისურვებთ წარმატებას!

I. მოსმენა (9 ქულა)

ყურადღებით მოისმინეთ ტექსტი. ტექსტს მოისმენთ ორჯერ.
ყოველი კითხვის ოთხ-ოთხი სავარაუდო პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი.
ტექსტის ჩანაწერის მოსმენამდე დავალების გასაცნობად გეძლევათ 45 წამი.
პასუხები გადაიტანეთ პასუხების ფურცელზე ამგვარად: პასუხების შესაბამის უჯრედებში გააკეთეთ აღნიშვნა – X.

(1) 1. განათლების მუშაკები აღნიშნავენ, რომ:

ა) ზნეობრივი თაობის აღზრდისათვის აუცილებელია განათლების სისტემის პრიორიტეტების გადახედვა.

ბ) ზნეობრივი თაობის აღზრდისათვის საჭიროა საზოგადოებრივი ურთიერთობების სტაბილურობა.

გ) კონკურენტუნარიანი ადამიანისათვის მთავარია შედეგების ეფექტურად „შეფუთვა“.

დ) პასუხისმგებლიანი ადამიანისათვის მნიშვნელოვანია ხარისხის მაჩვენებლის რაოდენობრივით ჩანაცვლება.

(1) 2. რესპონდენტის აზრით, განათლების სისტემა მაშინ შეიძენს „განახლებულ შინაარსს“, როცა სკოლა:

ა) დახვეწს საგნობრივი ცოდნის გადაცემის პროცესს.

ბ) მეტად იზრუნებს ერუდირებული მოქალაქეების აღზრდაზე.

გ) მეტად კონცენტრირდება საგნობრივი ცოდნის შეფასებაზე.

დ) პრიორიტეტს მიანიჭებს მოზარდთა სულიერ აღზრდას.

(1) 3. სულიერი აღზრდის პროცესი მნიშვნელოვანია იმით, რომ ბავშვს შეუძლია უფრო მარტივად:

ა) გაიაზროს მოყვასის ფასეულობები.

ბ) დაიმახსოვროს ფაქტები.

გ) შეიმეცნოს საკუთარი თავი.

დ) შეისწავლოს ფორმულები.

(1) **4. ქალბატონ მარიამს ჩინური იეროგლიფის მაგალითი მოჰყავს იმისათვის, რათა ბავშვს აუხსნას:**

ა) კრიზისული სიტუაციიდან გამოსავლის პოვნა რთულია.
ბ) კრიზისულ სიტუაციას გონიერი ადამიანი სასიკეთოდ იყენებს.
გ) კრიზისულ სიტუაციას თან ახლავს მტკივნეული პროცესები.
დ) კრიზისულ სიტუაციაში სიმშვიდის შენარჩუნება ძნელია.

(1) **5. მოზარდი თავდაჯერებული ხდება მაშინ, როცა:**

ა) გაურბის მტკივნეულ პროცესებს.
ბ) დიდ წარმატებას აღწევს.
გ) იაზრებს საკუთარ შეცდომებს.
დ) მაღალ შეფასებას იმსახურებს.

(1) **6. იმისათვის, რომ ბავშვს განუვითარდეს ჯანსაღი თვითშეფასების უნარი, საჭიროა:**

ა) დაიჯეროს, რომ მის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს გარშემომყოფები ითვალისწინებენ.
ბ) ირწმუნოს, რომ ფსიქოლოგთან თამამად შეუძლია გამოხატოს თავისი ემოციები.
გ) სკოლაში შეიქმნას უსაფრთხო გარემო, რომელშიც თავს დაცულად იგრძნობს.
დ) სკოლაში ხშირად ჩატარდეს ჯგუფური აქტივობები, რომლებშიც ჩაერთვება ფსიქოლოგი.

(1) **7. რა გავლენა იქონია მოზარდებზე ციფრულმა ეპოქამ?**

ა) აღუძრა კრიტიკული აზროვნების სურვილი.
ბ) გაუმძაფრა ადამიანის თანაგრძნობის სურვილი.
გ) გაუუარესა ლიტერატურის გააზრების უნარი.
დ) დაუქვეითა სიღრმისეული აზროვნების უნარი.

(1) **8. ინტერვიუს მიხედვით, რომელ უნარს ესადაგება „სხვის ტყავში“ ყოფნა?**

ა) თანაგანცდის.
ბ) თვითგამოხატვის.
გ) კრიტიკული აზროვნების.
დ) ყურადღების კონცენტრირების.

(1) **9. რესპონდენტის აზრით, როგორი პიროვნება ცვლის საზოგადობას?**

ა) ემოციური.
ბ) ერუდირებული.
გ) ინტელექტუალურად განვითარებული.
დ) სულიერად განვითარებული.

II. კითხვა (25 ქულა)

(9) *ყურადღებით წაიკითხეთ ნაწყვეტი ნიკოლოზ ჩხოტუას რომანიდან „მარადიული“ (შემოკლებით).*

ადრეული შემოდგომის ღრუბლიანი და ქარბუქიანი დღეების შემდეგ ამინდი შეიცვალა და ერთმანეთს მიჰყვა ულამაზესი და მშვიდი დღეები. უნაზესი თოვლის სქელი საბნებით დაფარული მთები მუქი ლურჯი ცის ფონზე შაქრის უზარმაზარ ფილებს ჰგავდა. როგორც კი აცივდა, ორ-სამ საათს ვატარებდი გაყინულ ტბაზე. თავდაპირველად ერასტი უარს ამბობდა ყინულზე დამდგარიყო, მაგრამ რამდენიმე მტკივნეული დაცემის შემდეგ ამ საქმეს ალღო აუღო. ასეთივე ოსტატობით ვერ დავიკვეხნიდი. ერთხელ, დილით, როცა ახალგაზრდა ქალბატონი ჩემკენ გამოსრიალდა, ვერაფრით მოვახერხე მისთვის გვერდი ამექცია. შეჯახებამ იგი წააქცია. სასწრაფოდ მივიჭერი და ხელთ ოციოდე წლის მომხიბვლელი ქალიშვილი შემრჩა. ნაქსოვი ქუდიდან ოქროსფერი თმა ჩამოშლოდა.

– აჰ, მომკლა ამ კაცმა! – თქვა ინგლისურად და სცადა ფეხი დაეზილა. თავიდან ვერც შემამჩნია.

– იქნებ ციგურების გახდაში მომეხმაროთ? – მითხრა უმწეოდ და, ეს, უნდა ვაღიარო, ძალზე მომხიბვლელად გამოუვიდა. – ინგლისელი ხართ? – იკითხა მან.

ახლა უფრო ახლოდან შევხედე: დახვეწილი ნაკვთები, წარმოუდგენლად ცისფერი და გულწრფელი თვალები.

– არა, მე კავკასიიდან ვარ.

– ტერეზა მაგაველი მქვია, მაგრამ მამაჩემი ტრესს მეძახის.

თავი წარვუდგინე და ხელი გავუწოდე. გაეცინა. ძალიან ჰგავდა ტაიას სიცილს, ისეთივე გულწრფელი იყო და გულმა რეჩხი მიყო. უეცრად ტერეზას თვალების დარად დღეც თითქოს უფრო განათდა და ცაც თითქოს უფრო ლურჯი გახდა. – ნამდვილად უკეთ ვარ, – მახარა გაბრწყინებულმა, – დიდი მადლობა დახმარებისათვის.

– აი თქვენი ციგურები, მის მაგაველ, – ვუთხარი და ციგურები მივაწოდე.

– გმადლობთ.

კითხვებზე გადასვლა: 10; 11; 12; 13; 14; 15; 16; 17; 18.

შემდეგ უეცრად მიმოიხედა და თვალი მოჰკრა ძონძებში ჩაცმულ ბიჭუნას, ასე თხუთმეტიოდე წლისას, რომელიც სკამზე იჯდა და მოციგურავეებს თვალს არ აშორებდა. დაუძახა. ბიჭუნა დიდი სიფრთხილით მიუახლოვდა და ტერეზამ მას ციგურები მიაჩეჩა. „ეს საჩუქარია“, – თქვა მან. ბიჭუნა გაოცებისაგან კინაღამ წაიქცა. ტერეზას უთვალავი მადლობა გადაუხადა. შემდეგ ჯერ ნელი ნაბიჯით, ხოლო მერე და მერე – უფრო და უფრო სწრაფად გაგვშორდა. ტერეზა უყურებდა და იცინოდა. „საწყალი ბიჭი...“ – მანერები გულწრფელი და უშუალო ჰქონდა. ყველაფერს, რასაც ამბობდა ან აკეთებდა, ღირსების კვალი აშკარად ემჩნეოდა. ტერეზა და მე ფეხით ჩავუყევით დაღმართს. გზადაგზა ვსაუბრობდით და ვიცინოდით. უნიკალური თვისება აღმოაჩნდა – ადამიანს მომენტალურად უხსნიდა დაძაბულობას. ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს მთელი ცხოვრება ვიცნობდი. ვიგრძენი, რომ კვლავ ახალგაზრდა ვარ. მოულოდნელად სიცოცხლისა და სიცილის სურვილი გამიჩნდა.

... ჩემს ოთახში რომ შევედი, სრულებით სხვა ადამიანი ვიყავი. ჰამლეტისეული მელანქოლია სავსებით გამქრალიყო და მისი ადგილი ახლის მოლოდინს დაეკავებინა. ძლიერი სურვილი გამიჩნდა, ვინმესთვის გამეზიარებინა ჩემი ამბები, მაგრამ ყოველგვარი მცდელობა ფუჭი აღმოჩნდა. ერასტი პირქუში და უთქმელი ჩანდა. ბოლოს ახსნა-განმარტება მოვთხოვე.

– წუხელ სიზმარი ვნახე და ამან დამამწუხრა.

– რა სიზმარი?

– თავადის ასული ტაია ვნახე სიზმარში, თეთრ ცხენზე იჯდა. ისეთი ლამაზი იყო, მთელი ღამე ვტიროდი.

ერასტის მეტი ვერაფერი ვათქმევინე, მაგრამ კარგად მესმოდა მისი. სულის სიღრმეში მაკრიტიკებდა, რომ ტაიას არ ვუერთგულე. ამის გაფიქრებამ მეც ამაფორიაქა. ვითომ ტაიას არ სურდა, ბედნიერი ვყოფილიყავი? ცხადია, ეს ერასტის მორიგი ახირებაა და სხვა არაფერი! ტაიას დავიწყება შეუძლებელი იყო.

მაგრამ დღეები გადიოდა და ჩემი ფიქრები მუდმივად ტრესს დასტრიალებდა თავს. ეს ისეთი ძლიერი მიზიდულობა არ ყოფილა, როგორიც ტაიას მიმართ ვიგრძენი თავის დროზე, მაგრამ სილამაზით პირვანდელს არ ჩამოუვარდებოდა. ყველაფერს ისე აღვიქვამდი, როგორც ურთიერთობას ორ ადამიანს შორის, რომლებიც ერთად ყოფნისას სრულ ჰარმონიას განიცდიან. თანდათან ტრესთან განშორების აზრმა შემაშფოთა. ჩემი ერთადერთი სურვილი იყო, უბრალოდ, დავმტკბარიყავი ყოველი ახალი დღით.

.....

კითხვებზე გადასვლა: 10; 11; 12; 13; 14; 15; 16; 17; 18.

– მამას ვჭირდები, არ შეგიძლია ჩვენთან ერთად წამოხვიდე?

– არ ვიცი. ექიმი ბაუერი ამბობს, გაზაფხულამდე უნდა დარჩეო. არ შეგიძლია, მამას მოელაპარაკო და დარჩე?

წამით ჩაფიქრდა: – კი, მაგრამ ახლა მამაჩემის კარიერაში გადამწყვეტი მომენტი დგას და ძალიან ვჭირდები მას. მისი მიტოვება ახლა არ იქნება სწორი.

მისი ხელი ავიღე და ვაკოცე: – შენთან ერთად მოვდივარ ხვალ, ტრეს.

– როგორ... კი, მაგრამ, შენი ჯანმრთელობა?..

– ოკეანის გადაცურვა სასარგებლოც კი იქნება. მერე ერთად დავბრუნდეთ, მიყვარხარ.

... ერთ-ერთი მუსიკოსი წინ წამოვიდა, უეცრად გული შემეკუმშა. მან ზუსტად ის მელოდია დაუკრა, რომელიც ტაიამ შეასრულა პიანინოზე ჩემს პარიზულ ბინაში. ამ მუსიკამ ტაია ისეთი სიცხადით დამიბრუნა, თითქოს არც არასდროს დავშორებივართ ერთმანეთს. მკაფიოდ გავაცნობიერე, რომ ტაია ჩემი ცხოვრებიდან არსად წასულა და არც არასოდეს წავიდოდა. გული საშინელი, ურთიერთსაწინააღმდეგო ემოციებით მქონდა დამძიმებული. ტერეზა მიყვარდა, იგი ჩემთვის ყველაზე ძვირფასი არსება იყო დედამიწაზე, თუ ტაიას არ ჩავთვლით. გულის სიღრმეში მეცოდებოდა. რატომ იყო მის მიმართ ბედი ასეთი უსამართლო? რატომ შეახვედრა ეს გამოფიტული კაცი, რომლის სულიც დიდი ხანია უკვე მას აღარ ეკუთვნოდა?

ბორძიკით, მიკიბულ-მოკიბულად, შემდეგ კი უფრო დალაგებულად მოვახერხე მომეყოლა ტაიას ამბავი.

– ახლა ყველაფერი იცი, ტრეს. არ შეიძლება ყველაფერი ანაცვალო ადამიანს, რომელიც თავის სულში სხვის ხატებას ატარებს... კაცს, რომელიც ვერასოდეს მოგცემს იმას, რასაც შენ იმსახურებ – მტკიცე ერთგულებასა და მხურვალე სიყვარულს. და... ტრეს, ღმერთია მოწამე, ტაია მუდამ მეყვარება, მთელი ცხოვრება, და მის შემდეგაც...

ვიგრძენი, ტერეზა ჩემკენ შემობრუნდა. ნელა და გარკვევით ლაპარაკობდა:

– ძალიან მიყვარდი, მაგრამ ახლა უსაზღვროდ მიყვარხარ. მაშინ მარტო შენ გამო მიყვარდი, ახლა კი ტაიასადმი შენი სიყვარულისთვისაც მიყვარხარ. არ მინდა, ოდესმე დაივიწყო იგი, შოთა, რადგან მაშინ შენ ის კაცი აღარ იქნები, ვინც მე მიყვარს. არც მისი ადგილის დაკავება მსურს შენს გულში. ისიც ვიცი, რომ ტაია თავს ბედნიერად იგრძნობს, თუ ეცოდინება – შენ ამქვეყნიურ ცხოვრებაში მარტო არა ხარ. ეს ნამდვილად ვიცი, რადგან მე მესმის ტაიასი ისე, როგორც სხვას არავის. კიდევ იმიტომ, რომ ისე მიყვარხარ, როგორც ტაიას.

კითხვებზე გადასვლა: 10; 11; 12; 13; 14; 15; 16; 17; 18.

უპასუხეთ მოცემულ კითხვებს. პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება.
ოთხ-ოთხი სავარაუდო პასუხიდან აირჩიეთ **მხოლოდ ერთი**.
პასუხები გადაიტანეთ პასუხების ფურცელზე ამგვარად: პასუხების შესაბამის უჯრედებში გააკეთეთ აღნიშვნა – **X**.

(1) 10. ტექსტის პირველ აბზაცში ავტორი:

ა) აქცენტს ერასტისა და შოთას ურთიერთდამოკიდებულებაზე აკეთებს.

ბ) მკითხველს რომანტიკული ამბის მოსასმენად განაწყობს.

გ) ქალიშვილის მშვენიერ გარეგნობას დეტალურად აღწერს.

დ) შემოდგომის სურათის აღწერით სევდიან და უიმედო განწყობილებას ქმნის.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 11. რა მხატვრული საშუალებაა გამოყენებული ფრაზაში: *„თოვლის სქელი საბნებით დაფარული მთები“?*

ა) ეპითეტი.

ბ) მეტაფორა.

გ) შედარება.

დ) ჰიპერბოლა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 12. რომელი ფრაზა მიუთითებს შოთას *განსაკუთრებულ* ემოციურ მდგომარეობაზე?

ა) „გავაცნობიერე, რომ ტაია ჩემი ცხოვრებიდან არსად წასულა“.

ბ) „მოულოდნელად სიცოცხლისა და სიცილის სურვილი გამიჩნდა“.

გ) „ოკეანის გადაცურვა სასარგებლოც კი იქნება“.

დ) „ხელთ ოცდაოდე წლის მომხიბვლელი ქალიშვილი შემრჩა“.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 13. *ყველაზე მეტად* რა მიუთითებს ტრესის პიროვნულ ღირსებაზე?

ა) იგი მადლობას უხდის შალვას ციგურების მიწოდებისათვის.

ბ) იგი ღარიბ ბიჭუნას ციგურებს ჩუქნის და ამით ბედნიერია.

გ) მას ბუნებრივი მანერები აქვს საუბრის დროს.

დ) მას შეუძლია იყოს უშუალო ურთიერთობის დროს.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) **14. რისი თქმა სურს მწერალს ფრაზით:** *„უეცრად ტერეზას თვალების დარად დღეც თითქოს უფრო განათდა და ცაც თითქოს უფრო ლურჯი გახდა“.*

ა) ადამიანი გრძნობებს ყველაზე უკეთ ბუნებაში ყოფნისას გამოხატავს.

ბ) ადამიანი სამყაროსთან სრულ ჰარმონიას გრძნობს მაშინ, როდესაც იგი შეყვარებულია.

გ) ადამიანის განწყობა უცვლელია მიუხედავად იმისა, თუ როგორ გარემოში ხვდება იგი.

დ) გარეგნული სილამაზე ადამიანის გრძნობებზე მოქმედი ყველაზე ძლიერი იარაღია.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 15. რომელ წინადადებაშია გამოყენებული ფრაზეოლოგიზმი?

ა) „გავაცნობიერე, რომ ტაია ჩემი ცხოვრებიდან არსად წასულა“.

ბ) „თანდათან ტრესთან განშორების აზრმა შემაშფოთა“.

გ) „... ისეთივე გულწრფელი იყო და გულმა რეჩხი მიყო“.

დ) „ნაქსოვი ქუდიდან ოქროსფერი თმა ჩამოშლოდა“.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 16. რომელი წინადადება შეესაბამება ტექსტის შინაარსს?

ა) ავტორი ნაკლებად ავლენს თავის დამოკიდებულებას მთავარი პერსონაჟის მიმართ.

ბ) ერასტის ნაკლებად მოსწონს ტრესის გამოჩენა შოთას პირად ცხოვრებაში.

გ) მთავარი პერსონაჟის ღირსებას ტრესთან მისი გულწრფელი აღსარება ადასტურებს.

დ) შოთას ღირსების ხაზგასმის მიზნით, ერასტი უფრო ზოგადადაა დახასიათებული.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 17. ტექსტის მთავარი თემაა:

ა) ადამიანის დანიშნულების გააზრება.

ბ) ბუნებასთან ჰარმონიის ძიება.

გ) მელანქოლიის სიღრმისეული გააზრება.

დ) ჭეშმარიტი სიყვარულის მარადიულობა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) **18. ჩამოთვლილთაგან რომელი გამოხატავს ავტორის მთავარ სათქმელს?**

ა) „ამქვეყნიურ ცხოვრებაში მარტო არ ხარ“ მაშინ, თუ წარსულით ცხოვრება შეგიძლია.

ბ) გულწრფელობა ადამიანს აიძულებს მუდამ სიკეთე თესოს.

გ) მელანქოლია ყოველთვის ახალი ცხოვრების წინაპირობა ხდება.

დ) სიყვარულს იმსახურებს ის, ვისაც შეუძლია მისი ხსოვნა მთელი ცხოვრება ატაროს.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(7) 19. ***ტექსტიდან ამოღებულია 7 წინადადება. აღადგინეთ ტექსტი მე-20 გვერდზე მოცემული წინადადებების მეშვეობით. გაითვალისწინეთ, 5 წინადადება ზედმეტია.***

მიხეილ მურვანიშვილი

ცნობილი ქართველი მეტყევე მიხეილ მურვანიშვილი სურამში დაიბადა 1875 წელს. (1) ----------. მაგალითისათვის, რომ არა მიხეილი, სურამი, როგორც კურორტი, დღეს არ იარსებებდა. აქ ბევრი ფერდობი მის მიერაა ხელოვნური ტყით გაშენებული, მათ შორის გამოირჩევა უნიკალური ფიჭვის კორომები. (2) ----------.

სატყეო სასწავლებლის დასრულების შემდეგ მიხეილმა მუშაობა მარტყოფის სატყეო სამსახურში დაიწყო. იმ პერიოდში გამოიცა განკარგულება, რომლის მიხედვითაც ყველას ეძლეოდა ტყის გაჩეხვის უფლება. მურვანიშვილმა გამოაქვეყნა წერილი, რომელშიც გამოთქვამდა პროტესტს, რომ ეს გადაწყვეტილება დიდ ზიანს მიაყენებდა საქართველოს ბუნებას. ილია ჭავჭავაძე ამ ამბავს სტატიით გამოეხმაურა „ივერიაში“. ის თანადგომას უცხადებდა მიხეილს და მადლიერებით მოიხსენიებდა მის მიერ ქვეყნისთვის გაწეულ სამსახურს. (3) ----------. განსაკუთრებით აფასებდა მის მცდელობებს – გაემდიდრებინა წიგნთსაცავები, გაეხსნა სამკითხველოები და ბიბლიოთეკები.

მიხეილმა მარტყოფის შემდეგ საქმიანობა ყვარელში განაგრძო, სადაც ორი დაწყებითი სკოლა და ბიბლიოთეკა გახსნა. შემ-დეგ კი ბაკურიანში გადავიდა. აქ მისი ინიციატივით დაიწყო წყალსადენის გაყვანა, სკოლის მშენებლობა და გაკეთდა ბაკუ-რიანიდან ბორჯომამდე მისასვლელი 14-კილომეტრიანი გზა. (4) ----------. ამის შემდეგ მოღვაწეობა გააგრძელა წაღვერში, სადაც ააშენა სკოლა და მასწავლებელთა საცხოვრებელი შენობა, მოაწყო ბიბლიოთეკა, სპორტული მოედანი. წაღვერელებისათვის გამოიყვანა სასმელი წყალი. (5) ----------. მისივე ინიციატივით დაიწყო არქეოლოგიური გათხრები წაღვერში. (6) ----------.

მურვანიშვილმა დააარსა თესლის საშრობი ქარხანა. ამ ქარხანაში სპეციალურად ამუშავებდნენ წიწვოვანი ხეების თესლებს, რომლებსაც დიდი რაოდენობით აგზავნიდნენ მთელ ევროპაში. მან მოაწყო სანერგეები აბასთუმანში, წყალტუბოში, ბახმაროში. გააშენა ტყის მასივები მცხეთასა და კასპში.

იგი აქტიურად თანამშრომლობდა პრესასთან და მუდმივად აქვეყნებდა წერილებს „ივერიაში“, „ცნობის ფურცელსა“ და სხვა გაზეთებში. (7) ----------.

მიხეილ მურვანიშვილი გარდაიცვალა 1959 წელს და დიდი პატივით დაკრძალეს სურამში. მისი წვლილი ფასდაუდებელია ჩვენი ქვეყნის ისტორიაში.

გამოტოვებული წინადადებები:

ა) ამ გზას პატივისცემის ნიშნად ხალხმა მისი სახელი დაარქვა.
ბ) ამ პერიოდში ტყის გაჩეხვის ერთი ფაქტიც კი არ ყოფილა.
გ) ამ უნიკალური ფიჭვის კორომების გაშენებას მან 28 წელი მოანდომა.
დ) გათხრების შედეგად არქეოლოგებმა აქ აღმოაჩინეს ბრინჯაოს ხანის ნივთები.
ე) გამოიცა განკარგულება, რომლის მიხედვით შეიქმნა სურამის საცდელი მეურნეობა.
ვ) ეს იყო ადამიანი, რომელმაც საქართველოში ბევრი ტყე გააშენა.
ზ) ილია სტატიაში ხაზს უსვამდა მურვანიშვილის საგანმანათლებლო მოღვაწეობას.
თ) მისი საფლავი ბაიანთხევის ტყის დასაწყისშია.
ი) მიხეილი ამით არ დაკმაყოფილდა და წაღვერში დამსვენებლებისათვის ტყე-პარკი გააშენა.
კ) მოგვიანებით სურამის ერთ-ერთ ქუჩას მიხეილ მურვანიშვილის სახელი ეწოდა.
ლ) შესაწამლი მანქანის გამოყენების უფლება მან გლეხებს უფასოდ მისცა.
მ) წერილების გარდა აქვეყნებდა მოთხრობებსაც, რომლებსაც დიდი გამოხმაურება ჰქონდა საზოგადოებაში.

ამ დავალების პასუხები პასუხების ფურცელზე გადაიტანეთ შემდეგნაირად: მე-19 ნომრის გასწვრივ მოცემულ ცხრილში ყოველი წინადადების რიგით ნომერს შეუსაბამეთ იმ წინადადების აღმნიშვნელი ასო, რომელიც, თქვენი აზრით, ამ კონკრეტულ შემთხვევაშია გამოტოვებული და გადამკვეთ უჯრედში ჩასვით **X** ნიშანი.

(9) 20. წაიკითხეთ ტექსტი და გაარკვიეთ, ჩამოთვლილი წინადადებებიდან რომელი შეესაბამება ტექსტის შინაარსს და რომელი – არა.

თუ წინადადება შეესაბამება ტექსტის შინაარსს, შესაბამის უჯრედებში გააკეთეთ აღნიშვნა X და მიუთითეთ იმ აბზაცის ნომერი, რომელიც თქვენი პასუხის დამადასტურებელ ინფორმაციას შეიცავს *(ნიმუში მოცემულია).* გაითვალისწინეთ, თუ აბზაცის ნომერი სწორად არ იქნება მითითებული, შესაბამისი პასუხი არასწორად ჩაგეთვლებათ.

თუ წინადადება არ შეესაბამება ტექსტის შინაარსს, შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა X, მაგრამ აბზაცის ნომრის მითითება საჭირო არ არის.

არ დაგავიწყდეთ პასუხების გადატანა პასუხების ფურცელზე!

ემოციური ინტელექტი

1. ემოციური ინტელექტი ეს არის საკუთარი და სხვა ადამიანების გრძნობებზე დაკვირვების, მათი ემოციების ადეკვატურად აღქმისა და გააზრების უნარი. მაღალი ემოციური ინტელექტის მქონე ადამიანებს შეუძლიათ კარგად გაუგონ გარშემომყოფებს: ხვდებიან, რა იწვევს მათ სიხარულს, რა – იმედგაცრუებას, გაღიზიანებას. მათ არა მხოლოდ ესმით სიტყვები, არამედ „კითხულობენ“ არავერბალურ სიგნალებს: სახის გამომეტყველებას, ხმის ტონს, სხეულის ენას. ისინი ყურადღებას აქცევენ სახის მიმიკებს, მანერებსა და ყველაფერ იმას, რაც მოსაუბრემ შესაძლოა სიტყვებით სულაც არ გამოხატოს; შესანიშნავად გრძნობენ მოსაუბრის ინტონაციას, ხვდებიან, თუ რისი თქმა სურს ამით მას, რას უსვამს ხაზს, რაზე აკეთებს აქცენტს და ა. შ.
2. ემოციური ინტელექტი ნდობის ატმოსფეროს შექმნაში დიდ როლს ასრულებს. როდესაც ადამიანები გრძნობენ, რომ მათი კარგად ესმით და აფასებენ, ისინი მზად არიან გახსნილად ისაუბრონ და სხვების არგუმენტებიც გაიაზრონ. ნდობა ადამიანს ურთიერთგაგებისათვის განაწყობს – სწორედ ეს არის დარწმუნების საფუძველი. ამიტომ არის ძალიან მნიშვნელოვანი ნდობის საკითხი და ამიტომაც ხდებიან ემოციური ინტელექტის მქონე ადამიანები ძლიერი ლიდერები, ადვილად ამყარებენ პროფესიულ ურთიერთობებს; არიან კარგი კოლეგები, ეფექტურად და ტაქტიანად მართავენ დაძაბულ, კონფლიქტურ სიტუაციებს.

წინადადებებზე გადასვლა

3. ემოციური ინტელექტის მქონე ადამიანები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ სიტყვების სწორად შერჩევას, თანამოსაუბრესთან ემოციური კავშირის დამყარებასა და ურთიერთგაგებას. ხშირად ადამიანებს ახსოვთ არა ის, თუ რა მოისმინეს თქვენგან, არამედ თუ როგორ აგრძნობინეთ მათ თავი, რამდენად გულისხმიერი იყავით მათთან. ადამიანურ ურთიერთობებს ზოგადად ახასიათებს კონფლიქტები. ემოციური ინტელექტი კი საშუალებას გაძლევთ დაინახოთ ესა თუ ის მოვლენა სხვადასხვა რაკურსით, შეინარჩუნოთ სიმშვიდე დაძაბული სიტუაციის დროს და იპოვოთ გონივრული გადაწყვეტილებები, რომლებიც ყველა მხარეს დააკმაყოფილებს.

4. დაბოლოს, ეს არ არის თანდაყოლილი თვისება. ემოციური ინტელექტი შეიძლება განვითარდეს და გაუმჯობესდეს. ამისათვის შეგვიძლია შემოვიღოთ დღიური, სადაც რეგულარულად აღვწერთ ჩვენს ემოციებს, რეაქციებს რთულ სიტუაციებში და უკეთ გვეცოდინება, რა მოგვწონს და რა გვაღიზიანებს. ყოველთვის შევეცადოთ დავინახოთ გარემოება სხვისი თვალით – წარმოვიდგინოთ, რას განიცდის სხვა ადამიანი ამა თუ იმ ვითარებაში, რა ღირებულებებს აფასებს და რას არიდებს თავს, რისი ეშინია და ა.შ. დაუსვით კითხვები თქვენს მოსაუბრეს და ყურადღება მიაქციეთ მის არავერბალურ სიგნალებს – სხეულის ენას, ტონს, გამომეტყველებას – ეს ყველაფერი ხშირად იმაზე მეტს ამბობს, ვიდრე სიტყვები. ემოციური ინტელექტი დიდ როლს ასრულებს ადამიანის პირად თუ პროფესიულ ცხოვრებაში, ამიტომ მისი განვითარება ძალზე მნიშვნელოვანი და სასურველია.

(ინტერნეტმასალების მიხედვით)

წინადადებებზე გადასვლა

წინადადების N	წინადადებები	შეესაბა-მება	არ შეე-საბამება	აბზაცის N
0	*ადამიანები ზოგჯერ სიტყვების ნაცვლად სათქმელს მიმიკით, ხმის ტონით, მანერებით გამოხატავენ.*	*X*		*1*
1	ადამიანს ინტონაციის მიხედვით უჭირს სხვა ადამიანის გაგება.			
2	ემოციური ინტელექტი თანდაყოლილი თვისებაა და მისი განვითარება შეუძლებელია.			
3	ემოციური ინტელექტი სხვადასხვა გრძნობისა თუ ემოციის ადეკვატურად აღქმის უნარია.			
4	ემოციური ინტელექტის განვითარება ძალიან მნიშვნელოვანია ადამიანის პირად და პროფესიულ ცხოვრებაში.			
5	ემოციური ინტელექტის მქონე ადამიანი თანამოსაუბრის სხეულის ენას კარგად იგებს.			
6	ემოციური ინტელექტის მქონე ადამიანს გარშემომყოფნი ენდობიან, შესაბამისად, იგი კარგი ლიდერი ხდება.			
7	კონკრეტული სიტუაციის „სხვისი თვალით“ დანახვა ხელს უშლის ემოციური ინტელექტის განვითარებას.			
8	მაღალი ემოციური ინტელექტის მქონე ადამიანებს დაძაბულ სიტუაციებში სიმშვიდის შენარჩუნება უჭირთ.			
9	როდესაც ადამიანები გრძნობენ, რომ მათი ესმით, ისინი სხვების აზრს უფრო ადვილად იზიარებენ.			

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

III. წერა (20 ქულა)

21. არგუმენტირებული მსჯელობით დაეთანხმეთ ქვემოთ მოცემულ მოსაზრებას ან უარყავით იგი:

ზოგის აზრით, მოსწავლე ბევრად უკეთ უმკლავდება თავის სისუსტეებს, როდესაც დრო ეძლევა მათ გასააზრებლად და როცა მის შეცდომებს უფროსებისაგან მყისიერი რეაქცია არ მოჰყვება.

N21 ანუ წერითი დავალების შესასრულებლად პასუხების ფურცელზე ერთი გვერდია დატოვებული. იმყოფინეთ ეს ადგილი!

ისევე, როგორც ყველა სხვა დავალებისათვის, წერითი დავალებისათვისაც შავი ვარიანტის დასაწერად შეგიძლიათ ცარიელი ფურცლები გამოიყენოთ.

არ დაგავიწყდეთ ნაშრომის გადატანა პასუხების ფურცელზე!

გაითვალისწინეთ, 100 სიტყვაზე ნაკლები მოცულობის ნაშრომი VI (სინტაქსური კონსტრუქციები) და VII (მორფოლოგია, ორთოგრაფია, პუნქტუაცია) კრიტერიუმების მიხედვით არ შეფასდება და დაიწერება 0 ქულა.

IV. პროფესიული ცოდნა (20 ქულა)

(8) 22. ტექსტში დაშვებულია ორთოგრაფიული, მორფოლოგიური და სინტაქსური შეცდომები (სტრიქონში არაუმეტეს ერთისა). ზოგ სტრიქონში დაშვებულია შეცდომა, ზოგში – არა. სტრიქონების გასწვრივ მოცემულ ხაზებზე დაწერეთ სწორი ფორმები. თუ სტრიქონში შეცდომა არ არის, გააკეთეთ აღნიშვნა – √*(ნიმუში მოცემულია).*

არ დაგავიწყდეთ პასუხების გადატანა პასუხების ფურცელზე!

ტექსტი	სწორი ვარიანტები
არმაზის ციხე ქართული ხუროთმოძღვრების ერთერთი გამორჩეული ძეგლია. ის მდებარეობს მცხეთის მუნიციპალიტეტში და დაახლოებით 6-7 საუკუნის წინ აიგო ორ ხევს შორის აღმართულ	*00. ---- ერთ-ერთი ---*
	0. ---------- √ ----------
ყველაზე მაღალ კლდოვან ბორცვზე. სტრატეგიული ადგილ-მდებარეობის წყალობით ციხე და	1. ----------
ჩრდილოეთის ქვეყნებთან დამაკავშირებელი გზა საიმედოთ იყო დაცული. სამწუხაროდ, დღეს	2. ----------
ძეგლის დიდი ნაწილი დაზიანებულია. ნატეხ ქვებით ნაგები არმაზის ციხე შედგება კოშკისა და	3. ----------
გალავანისაგან. გალავანი ტრაპეციის ფორმისაა. კოშკი მის სამხრეთ ნაწილში დგას და მასში შესვლა	4. ----------
მეორე სართულიდანაა შესაძლებელი. იგივე სართულზე მოზრდილი სარკმლებია, პირველ	5. ----------
სართულს კი ყრუ კედლები აქვს. ძეგლის ტერიტორიაზე არქეოლოგიური კვლევები XIX-ე	6. ----------
საუკუნის ბოლოდან დაიწყო და რამდენიმე ათეული წლების განმავლობაში მიმდინარეობდა.	7. ----------
2006 წელს ციხეს მიენიჭა ეროვნული მნიშვნელობის კატეგორიის კულტურის ძეგლის სტატუსი.	8. ----------

NN 23-28 დავალებების ***ოთხ-ოთხი სავარაუდო პასუხიდან აირჩიეთ*** *მხოლოდ ერთი.*

პასუხები გადაიტანეთ პასუხების ფურცელზე ამგვარად: პასუხების შესაბამის უჯრედებში გააკეთეთ აღნიშვნა – **X**.

NN 29-31 დავალებების პასუხები უნდა დაწეროთ პასუხების ფურცელზე მხოლოდ ამ დავალებების ნომრების გასწვრივ მოცემულ ხაზებზე.

შავი სამუშაოს შესასრულებლად შეგიძლიათ გამოიყენოთ ცარიელი ფურცლები.

არ დაგავიწყდეთ პასუხების გადატანა პასუხების ფურცელზე!

(1) **23.** რომელია სწორი?

ა) არე-მარე.
ბ) თავ-თავი.
გ) მშვილდ-ისარი.
დ) ხელის-გული.

(1) **24.** რომელი ზედსართავი სახელი აწარმოებს უფროობითი ხარისხის ფორმას თავისებურად?

ა) დიდი.
ბ) ცუდი.
გ) სწრაფი.
დ) ძველი.

(1) **25. რომელი გრამატიკული კატეგორია განასხვავებს ერთმანეთისაგან ზმნებს:** *ჩააგდო* **და** *ჩამიგდო?*

ა) ასპექტი.
ბ) დრო.
გ) კონტაქტი.
დ) ქცევა.

(1) **26. რომელ წინადადებაშია ზმნიზედა გამოყენებული თანდებულის ფუნქციით?**

ა) გამოიდარა და ბავშვი სათამაშოდ გარეთ გავიდა.
ბ) გოგონამ ორი ნაბიჯი უკან გადადგა და შეჩერდა.
გ) რამდენიმე ყველაზე გაბედული ბიჭი წინ წავიდა.
დ) სკოლის გვერდით ახალი საცურაო აუზი გაიხსნა.

(1) **27. გაარკვიეთ, რა შეცდომაა დაშვებული წინადადებაში:** *ჩვენს გუნდს კიდევ ორი გოლი უნდა გაეტანა, რადგან ჩემპიონატში მიეღო მონაწილეობა.*

ა) დამოკიდებულ წინადადებაში არასწორადაა გამოყენებული კავშირი.
ბ) დარღვეულია მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნვაში შეთანხმების წესი.
გ) დარღვეულია ქვემდებარე-შემასმენლის რიცხვში შეთანხმების წესი.
დ) მთავარ წინადადებაში არასწორადა შერჩეული ქვემდებარის ბრუნვა.

(1) **28.** **გაარკვიეთ, რა ტიპის შეცდომა დაუშვა მოსწავლემ წინადადებაში:** *რა თქმა უნდა, რაც მჭირდებოდა, ყველაფერი შევიძინე, საღებავი, ფუნჯი და სხვადასხვა ზომის სახატავი ფურცლები.*

ა) მორფოლოგიური.

ბ) ორთოგრაფიული.

გ) პუნქტუაციური.

დ) სინტაქსური.

(2) **29.** **გაარკვიეთ, ხაზგასმული სიტყვა წინადადების რომელი წევრია პირველ წინადადებაში, რომელი – მეორეში.**

1. მან ქალაქი რამდენიმე წლის წინ დატოვა.

2. ჩვენი ქალაქი ძალიან ლამაზია.

(2) **30.** **მოსწავლემ დაწერა წინადადება:** *გოგონამ სანაპიროზე კენჭები შეაგროვა და პარკში ჩააგდო.*

ა) **გაასწორეთ შეცდომა და ისე დაწერეთ ეს წინადადება.**

ბ) **განუმარტეთ მას, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.**

(2) **31.** **მოსწავლემ დაწერა წინადადებები:**

1. ციდან ფიფქები სცვივა.

2. ხეს ფოთლები შემოდგომაზე სცვივა.

ა) **გაარკვიეთ, რომელ წინადადებაშია შეცდომა, გაასწორეთ იგი და ისე დაწერეთ ეს წინადადება.**

ბ) **განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.**